

**ბრძანება
N03/230**

23 / დეკემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს;
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა;
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მარინე მიზანდარი

ბრძანება N 03/230 (23.12.2013) დანართი

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა/ მისამართი	სახეობა	თარიღი
1.		ნაფარეულის ციხე	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფარეული	არქიტექტურის /საფორთიფიკაციო ნაგებობა	XIXს.
2.		ნაფარეულის ციხე/ჭავჭავაძისეული რეზიდენცია	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფარეული	არქიტექტურის /საცხოვრებელი სახლი	XIX-XXს-ის მიჯნა
3.		ნაფარეულის ციხე/ჭავჭავაძისეული რეზიდენცია/ცალკე მდგომი ნაგებობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფარეული	არქიტექტურის /საცხოვრებელი სახლი	XIX-XXს-ის მიჯნა
4.		საცხოვრებელი სახლი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევი	არქიტექტურის /სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუში	XIX ს. შუა პერიოდი
5.		საცხოვრებელი სახლი	ქ. თელავი, აბანოს ქ.N8-10-12	არქიტექტურის /სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუში	XVIII-XIXს-ის მიჯნა